



ევროკავშირი
საქართველოსთვის



ანბარიში

იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში
ნარჩენების სეპარირებული შებენი ნარჩენების
გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ



2023

ეს პუბლიკაცია შექმნილია 'საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის' (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **“სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”** ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).



შინაარსი

შესავალი	4
იმერეთის რეგიონი: ზოგადი აღწერა	5
საჭიროებათა კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია	7
ზოგადი ინფორმაცია რესპონდენტთა შესახებ	8
თვისობრივი კვლევის ანალიზი	10
რაოდენობრივი კვლევის ანალიზი	13
რეკომენდაციები	16
საჭიროებების კვლევის შედეგები მუნიციპალიტეტების მიხედვით	18
ქალაქი ქუთაისი	18
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	25
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	32
ვანის მუნიციპალიტეტი	37
ბადდათის მუნიციპალიტეტი	43
ხონის მუნიციპალიტეტი	48
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	54
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	59
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	64
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	70
საჩხერეს მუნიციპალიტეტი	76
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	81
ტერმინების განმარტება	87

შესავალი

ნარჩენების რეციკლირება განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის მუნიციპალიტეტებისათვის. ნარჩენების სეპარირებული შეგროვება ნარჩენების მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.

ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად განსაზღვრულია მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობა ნარჩენების მართვის პროცესში, კერძოდ, ერთ-ერთია ნარჩენების გამოცალკევებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს აღდგენის პროცესებს.

ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია ითვალისწინებს ნარჩენების პრევენციას, ხელახალ გამოყენებას, რეციკლირებას ან/და აღდგენას. კერძოდ, ქაღალდის, პლასტიკის, მინისა და მეტალის წარმოშობის წყაროსთან სეპარირების სისტემების ჩამოყალიბებას. 2030 წ. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიერ დასახულია რეციკლირების მაჩვენებლები, რომელთა მიღწევა ეტაპობრივად უნდა მოხდეს. კერძოდ, რეციკლირების მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლები 2026 წლიათვის არის: ქაღალდის, პლასტიკისა და მინისათვის -50%, ხოლო მეტალისათვის -80%.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ აიღო ვალდებულება მოახდინოს ნარჩენების მართვის სექტორის ჰარმონიზაცია ევროკავშირის მოთხოვნებთან. ნარჩენების მართვა საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია ქვეყანაში. საქართველოში ყოველწლიურად 1 მლნ ტონაზე მეტი მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება, რომლის 90%-ზე მეტი ნაგავსაყრელებზე განთავსდება. ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენები წარმოადგენს რესურსების უზარმაზარ დანაკარგს. ნარჩენების სეპარირებული შეგროვება რეციკლირებადი ფრაქციების სასარგებლოდ გამოყენების საშუალებას იძლევა.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ნარჩენების მართვის სტრატეგიაში, რომლის მუნიციპალურ დონეზე დანერგვა ხელს შეუწყობს ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების მოცულობის საგრძნობლად შემცირებას. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის საკითხები ასევე წარმოადგენს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების საგანს.

ნარჩენების რეციკლირების არსებული მდგომარეობისა და ამ მიმართულებით საჭიროებების განსაზღვრის მიზნით იმერეთის რეგიონის 12 მუნიციპალიტეტში ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა.

საჭიროებების კვლევა ჩატარდება იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის“ პროექტის „ნარჩენების რეციკლირების ვალდებულების შესრულების მონიტორინგი და ადვოკატირება იმერეთის რეგიონში“ ფარგლებში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP). პროექტს აფინანსებს ევროკავშირი და კონრად ადენაუერის ფონდი (KAS).

იმერეთის რეგიონი: ზოგადი აღწერა

იმერეთის რეგიონის ფართობი შეადგენს 6552 კვ.კმ, მოსახლეობა 700 ათასს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ – 108 კაცი. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ქუთაისი. მხარეში 542 დასახლებული პუნქტია, მათ შორის:

- ❖ **ქალაქი 10:** ქუთაისი, ვანი, ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა, ბაღდათი, ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, საჩხერე, ხონი.
- ❖ **დაბა 3:** შორაპანი, კულაში, ხარაგაული.
- ❖ **სოფელი:** 542.

იმერეთის რეგიონში შედის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები:

- თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი
- ბაღდათის მუნიციპალიტეტი
- ვანის მუნიციპალიტეტი
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტი
- თერჯოლის მუნიციპალიტეტი
- სამტრედიის მუნიციპალიტეტი
- საჩხერის მუნიციპალიტეტი
- ტყიბულის მუნიციპალიტეტი
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
- ხონის მუნიციპალიტეტი

ცხრილი 1. იმერეთის რეგიონის მოსახლეობა, 2019-2021 წწ.

	2019	2020	2021
იმერეთის რეგიონი	492.2	484.2	474.1
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი	136.7	134.8	131.8
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	19.0	18.5	18.0
ვანის მუნიციპალიტეტი	21.9	21.4	20.9
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	55.8	55.3	54.7
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	32.2	31.6	30.9
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	44.5	43.7	42.8
საჩხერის მუნიციპალიტეტი	35.5	35.1	34.5
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	18.5	18.1	17.5
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	48.8	47.3	45.7
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	38.8	38.4	37.9
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	18.8	18.6	18.4
ხონის მუნიციპალიტეტი	21.6	21.3	20.8

საჭიროებათა კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

საჭიროებათა კვლევა ჩატარდა იმერეთის რეგიონის 12 მუნიციპალიტეტში. გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლიობა. რაოდენობრივი კვლევისთვის შემუშავებულ იქნა სტრუქტურირებული კითხვარი/ანკეტა, რომელიც, ძირითადად, შედგებოდა დახურული კითხვებისგან. რაოდენობრივი მეთოდით სულა გამოიკითხა - 1237 ადამიანი, მათ შორის ონლაინ Google form საშუალებით - 382.

თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში გამოყენებულ იქნა ფოკუსური ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა და ჩადრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუ. თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩატარდა შეხვედრები 2-2 ფოკუს-ჯგუფთან. სულ ჩატარდა ფოკუს ჯგუფების 24 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო - 135 ადამიანმა.

ყოველი მუნიციპალიტეტიდან ცალკე გასაუბრება შედგა 2 ექსპერტთან.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებში გამოკითხვის მოდერატორებად შერჩეული იყვნენ ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები,

რომლებთანაც ჰქონდათ გამოკითხვებისა და თვისობრივი კვლევების ჩატარების გამოცდილება, ფლობდნენ ასეთი ტიპის გამოკითხვებში გამოყენებულ მეთოდოლოგიებს, რესპონდენტთა შერჩევისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა და მკვლევარსა და რესპონდენტებს შორის ურთიერთობის ფორმებს.

ფოკუს-ჯგუფის ეფექტურად წარმართვის მიზნით გამოკითხვის ჩატარებამდე ყველა მუნიციპალიტეტში:

- მოდერატორებისათვის წინასწარ ონლაინ ჩატარდა საინფორმაციო საუბრები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში საქართველოს მიერ ნარჩენების მართვის სფეროში აღებული ვალდებულებებისა და შესრულების ვადების შესახებ, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის საკითხების შესახებ;

- იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრისა“ და ესპერტების მიერ მომზადდა სადისკუსიო თემატიკა ადგილობრივი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შესრულებისა და ამ სფეროში არსებული პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ;

- მოდერატორთა მიერ შეირჩა რესპოდენტთა ჯგუფები 10-12 ადამიანის მონაწილეობით, რომლებიც მეტნაკლებად კარგად ერკვეოდნენ სადისკუსიო საკითხში;

- ფოკუს ჯგუფებში რესპოდენტებად ძირითადად შეირჩნენ შემდეგი სტრუქტურების წარმომადგენლები: ადგილობრივი თვითმმართველობების (მერია, საკრებულო), მუნიციპალური დასუფთავების კომპანიების, არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის, მასმედიის წარმომადგენლები, კერძო პირები;


- თითოეული ჯგუფის შემადგენლობა ჰომოგენური იყო საკობრივი და სქესობრივი თვალსაზრისით;

- მოდერატორთა მიერ მომზადებული იქნა გარემო რესპოდენტთა ერთდროული გასაუბრების და აუდიო ჩანაწერის განხორციელებისთვის, ფოკუს-ჯგუფის მსვლელობისას მის ყველა მონაწილესათვის აზრის თავისუფლად და სრულად გამოთქმის საშუალების მიზნით.


ზოგადი ინფორმაცია რესპოდენტთა შესახებ

სულ რესპოდენტთა რაოდენობა -1396. გამოკითხულთა 27% იყო 41-50 წლის, ხოლო ყველაზე ახალგაზრდებმა (18-30 წწ.) შეადგინა გამოკითხულთა 18%.


გამოკითხულთა 67% არის ქალი, ხოლო დანარცენი, 33%- კაცი.



ნახ.3. გამოკითხულთა ასაკობრივი ჯგუფები, გაერთიანებული მონაცემები



ნახ.4. გამოკითხულთა ასაკობრივი ჯგუფები მუნიციპალიტეტების მიხედვით.



ნახ 5. გამოკითხულთა სქესი

თვისობრივი კვლევის ანალიზი

თვისობრივი კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ აღნიშნულ საკითხებზე დისკუსიის დროს რესპოდენტთა უმეტესი ნაწილი **ინფორმირებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესახებ ნარჩენების მართვის მიმართ**. ინფორმაციას ამ საკითხის ირგვლივ განსაკუთრებით კარგად ფლობენ ადგილობრივი თვითმმართველობების, მუნიციპალური დასუფთავების კომპანიების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. შედარებით ნაკლები ინფორმაცია აქვთ ბიზნესის წარმომადგენლებს, პასუხის გაცემა უჭირთ კერძო პირებს.

ინფორმაცია ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ნარჩენების მართვის მოთხოვნების შესახებ რესპოდენტების უმრავლესობამ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული შეხვედრებიდან მიიღო, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ ინფორმაცია მიიღეს შეხვედრაზე, რომელიც ჩაატარა ოფიციალურმა სტრუქტურამ. კერძო ბიზნესის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ ინფორმაცია კოლეგებისაგან გაიგეს. მხოლოდ მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ „ამ საკითხზე ინფორმაციას გავეცანი დოკუმენტს ევროკავშირის ვებგვერდზე“.

შეხვედრებზე ისაუბრეს **რამდენად საკმარისი იყო მიღებული ინფორმაცია ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების სრულად წარმოსადგენად**. რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ მათთვის მიღებული ინფორმაცია საკმარისი იყო, თუმცა მცირე ნაწილი აღნიშნავდა „*კარგი იქნებოდა ყოფილიყო მეტი განმარტებები აღნიშნულ საკითხებზე, მეტად გავრეკვოდი*“. მუნიციპალიტეტებში დისკუსიის დროს ძირითადად არ იყო აზრთა სხვადასხვაობა იმაზე, რომ მოსახლეობა არასაკმარისადაა ინფორმირებული **თავიანთ მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის შესახებ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების**

შესახებ და გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ მიმართებით მეტად უნდა იყოს ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობები, მასმედია და არასამთავრობო სექტორი.

მუნიციპალიტეტებში დისკუსიის დროს დაისვა საკითხი, თუ როგორ ხორციელდება ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესრულება ნარჩენების მართვის სფეროში ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. ქ. ქუთაისში ფოკუს-ჯგუფის რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ეს პროცესი ქალაქში ხორციელდება მეტნაკლებად კარგად, თუმცა ვარაუდობენ რომ ვადების დარღვევით. „უკვე რამდენიმე წელია ქუთაისის მუნიციპალიტეტში დაწყებულია პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩართულია ამ პროცესებში, მათთვის პლასტიკის გამჭირვალე კონტეინერები უკვე უცხო არ არის“. ტყიბულის, საჩხერისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში რესპოდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათ მუნიციპალიტეტებში ეს ხორციელდება ნაწილობრივ, ხოლო დანარჩენი მუნიციპალიტეტებში დისკუსიისას მკვეთრად გამოითქვა აზრი, რომ „ამ მიმართებით არაფერიც არ კეთდება და არც კი დაწყებულა“, „არ ვიცი რა ხდება ამ მხრივ“.

სამწუხაროდ, დისკუსიების მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ ინფორმაცია ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ უმრავლეს მუნიციპალიტეტებში კერძო პირებს და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს საერთოდ არ ქონდათ. „არ ვიცი, არ მჭირდებოდა და როცა დამჭირდება ვნახავ შესაბამის დოკუმენტებს“. სამაგიეროდ ამის შესახებ მეტნაკლებად არიან ინფორმირებული ადგილობრივი თვითმმართველობისა და დასუფთავების მუნიციპალური და კერძო კომპანიების წარმომადგენლები. „ვიცით ამის შესახებ,“; „ვიყენებ დოკუმენტს საკუთარი საქმიანობისათვის“; „ინფორმაციას ვღებულობდით ხელმძღვანელი პირებიდან და არასამთავრობო სექტორის ტრენინგებიდან“. „ქუთაისში ვესწრებოდით არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ტრენინგს“. „ინფორმაცია მაქვს, მაგრამ დოკუმენტს ჯერ არ გავცნობივარ“ ; არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა ჭიათურაში განაცხადა, რომ „ინფორმაცია მაქვს და დოკუმენტსაც გავეცანი, ჩვენი ქალაქის პრობლემებიდან გამომდინარე“.

ფოკუს ჯგუფების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაში. (ქუთაისში, სამტრედიიაში, ტყიბულში, წყალტუბოში), ასევე ამ პროცესებში ჩართული იყო ზოგიერთი მუნიციპალიტეტიდან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თუმცა რესპოდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავდა რომ „ მე არ მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ჩართული იყო ჩვენი ორგანიზაციის სხვა წარმომადგენელი“. ამ საკითხზე უარყოფითი პასუხი ქონდა კერძო პირებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს - „არც კი ვიცოდი ამის შესახებ, თუ შემეძლო მონაწილეობის მიღება“; „მე არ მუხება“, „ვის აინტერესებს ჩემი, როგორც არაპროფესიონალის აზრი, ამას სპეციალისტები გააკეთებენ „.

დისკუსიის დროს განიხილებოდა საკითხი რა მდგომარეობა იყო მუნიციპალიტეტებში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მხრივ. ქუთაისში 2015 წლიდან მუნიციპალურ დონეზე ხორციელდება პლასტიკისა და ქაღალდის სეპარირებული შეგროვება, „ყველა ვხედავთ ჩვენს ქალაქში პლასტიკის ნარჩენებით

სავსე გამჭირვალე კონტეინერებს, ქაღალდის შემკრები კონტეინერები დგას სკოლებში, კერძო კომპანიები აგროვებენ მუყაოს, ლითონს, მინას, დაიწყო მწვანე მასის კომპოსტირება“; ბევრ მუნიციპალიტეტში რესპოდენტების მხრიდან (სამტრედია, ზესტაფონი, ჭიათურა, ვანი, ბაღდათი, თერჯოლა) დისკუსიის დროს გამოითქვა გულისწყვეტა, რომ ჯერ არ დაწყებულა მათთან **ნარჩენების სეპარირებული შეგროვება**. პლასტიკის შეგროვების პროცესი არასაკმარისად მიმდინარეობს ხარაგაულში, ტყიბულში, საჩხერეში. უკანასკნელ ხანს დაიწყო წყალტუბოში, ხონში, მაგრამ რესპოდენტები აღნიშნავდნენ, რომ „არ არის საკმარისი კონტეინერები და მოსახლეობაც ნაკლებადაა ინფორმირებული, რომ ეს პროცესი სტაბილურად წარიმართოს.“

ძირითადად პლასტიკის ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას ქუთაისში, წყალტუბოში, ხონში და ტყიბულში მუნიციპალური საწარმოები ახორციელებენ. ხარაგაულში ამ საქმიანობას კერძო კომპანია ახორციელებს. თუმცა, ასევე ფუნქციონირებენ კერძო კომპანიები, რომლებიც აგროვებენ ქაღალდს, მინას, მეტალს. დანარჩენ მუნიციპალიტეტებში რესპოდენტთა დიდ ნაწილს ამ საკითხზე აზრის გამოთქმა უჭირთ.

დისკუსიების დროს **გამოიკვეთა მოსახლეობის არასაკმარისი ჩართულობა სეპარირებულ შეგროვების პროცესებში**. ქუთაისის გამოცდილება აჩვენებს, რომ მოსახლეობის ჩართულობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია, რაც არ ითქმის სხვა მუნიციპალიტეტებში. „მოსახლეობა არ არის საკმარისად ინფორმირებული და მოტივირებული, დაახარისხოს და შეაგროვოს ნარჩენები, ამისათვის სერიოზული მუშაობის ჩატარებაა საჭირო“. „არ დგას შესაბამისი კონტეინერები“ (ვანის მუნიციპალიტეტი); „რომ შევაგროვოთ, სად უნდა წაიღონ ?, ისევ ნაგავსაყრელზე? ვინ გააკეთებს ამას რეგიონში?“ (ბაღდათი).

მნიშვნელოვანი დისკუსიები გაიმართა **კომპოსტირების, როგორც მწვანე ნარჩენების გადამუშავების პროცესის** შესახებ. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ არაერთხელ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები კომპოსტირების შესახებ, მაგრამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ამ მიმართებით არ განხორციელებულა. „მაქვს ინფორმაცია კომპოსტირების შესახებ, რამდენჯერმე დავესწარი ტრენინგებს, რომელიც ჩატარა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები“, მაგრამ არ განმიხორციელებია და არც რაიმე მნიშვნელოვანი გამოცდილება არის ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ მხრივ.

მხოლოდ ქუთაისის ფოკუს-ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ ქუთაისში არის საკომპოსტე ცენტრი და მიმდინარეობს მწვანე ნარჩენების შეგროვება. „ქალაქში დაწყებულია მუნიციპალურ დონეზე მწვანე ნარჩენების კომპოსტირება. ქუთაისში აშენდა საკომპოსტე ცენტრი, რომელიც წარმატებით ოპერირებს. ასევე, ქუთაისის რამდენიმე სკოლის უბოში დადგმულია საკომპოსტე ყუთები“.

რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებში საკომპოსტე ყუთები მხოლოდ კერძო სექტორში აქვთ (ტყიბულში, ბაღდათში 2-3 ფერმერს აქვს,) „მე საკუთარი უბო მაქვს, მევისწავლე ჩემით რა არის კომპოსტირება და თვითონ ვაწარმოებ კომპოსტს რამდენიმე წელია, სხვებსაც მოვუწოდებ ამისკენ“ -აღნიშნა სამტრედიის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელმა. თერჯოლის ფოკუს-ჯგუფის

წევრმაც განაცხადა, რომ აქვს კომპოსტის დამზადების გამოცდილება, თუმცა მცირე მოცულობით. იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში საკომპოსტე ყუთები დადგმულია რამდენიმე სკოლის ეზოში (სამტრედია, ბაღდათი, ჭიათურა, საჩხერე, ხარაგაული, ზესტაფონი) და მიღებულ კომპოსტს სკოლის მცენარეებისთვის იყენებენ.

თვისობრივმა კვლევამ გვიჩვენა რა დიდი სამუშაოა ჩასატარებელი მუნიციპალიტეტებში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვისათვის. დისკუსიების მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ რომ: არაა საკმარისი კვალიფიციური კადრები, რომლებსაც ექნებათ ცოდნა და გამოცდილება სეპარირებული შეგროვების წარმართვისათვის, არ არის წვდომა შესაბამის მეთოდოლოგიაზე. ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელი აღნიშნავს „მნიშვნელოვანი პრობლემაა არასაკმარისი დაფინანსება. დაფინანსების გარეშე როგორ შეიძენს მუნიციპალიტეტი შესაბამის ტექნიკურ აღჭურვილობას - კონტეინერებს, მანქანებს, პრესებს“. ამიტომ რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ საჭიროა მუნიციპალიტეტების არა მარტო ტექნიკური აღჭურვა, არამედ უნდა გაძლიერდეს პერსონალის პროფესიული სწავლება: ტრენინგების ჩატარება, მეთოდური ლიტერატურის მომზადება, ადგილობრივ დონეზე გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი კონსულტაციების მიღება. ამავედროულად უნდა განხორციელდეს მოსახლეობის ინტენსიურად ინფორმირება და მათი ჩართულობა ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პროცესებში. სასურველია ხელმისაწვდომი იყოს პლასტმასის მზა საკომპოსტე ყუთები, რომლებიც ხანგრძლივად გამოყენებადი იქნებიან და მდგარდი იქნებიან გარემოში.

რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

როგორც გამოკითხვია ანალიზმა გვიჩვენა, გამოკითხულთა უმრავლესობა ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტებში არსებული ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ისეთი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების გათვითცნობიერების დონე გარემოს მდგომარეობის შესახებ, როგორცაა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი (84.4%), ბაღდათის მუნიციპალიტეტი (81.6%), ზესტაფონის მუნიციპალიტეტი (80.3%), ვანის მუნიციპალიტეტი (78.7%), თერჯოლის მუნიციპალიტეტი (76.1%).

რესპოდენტთა ინფორმირებულობის დონე ეკოლოგიური პრობლემების შესახებ დაბალია ისეთ მუნიციპალიტეტებში, როგორცაა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (44.4%), ხონის მუნიციპალიტეტი (47%).

საჭიროა აღინიშნოს, რომ რესპოდენტებმა ობიექტურად შეაფასეს მათი საცხოვრებელი უბნის ან ქუჩის სისუფთავის დონე. უმეტესწილად, გამოკითხულები აღნიშნავენ, რომ მათი საცხოვრებელი უბნები ნაკლებად დანიბჭურებულია ან დანიბჭურებულია (ქუთაისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სამტრედიის

მუნიციპალიტეტი, ვანის მუნიციპალიტეტი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი). ბაღდათის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 52,6% თვლის, რომ მათი საცხოვრებელი უბანი სუფთაა, ხოლო 16.7% მიანიშნებს, რომ ძალიან სუფთაა.

მყარი საყოფაცხოვრებო **ნარჩენების მართვის და მასთან დაკავშირებული პრობლემები** ერთნაირად აქტუალურია ყველა რესპონდენტისათვის ყველა მუნიციპალიტეტში.

როგორც ირკვევა, აბსოლუტურად ყველა მუნიციპალიტეტში **პრიორიტეტულია ნარჩენების შეგროვების კონტეინერული სისტემა**, რაც მოხერხებული მიდგომაა ასევე მოსახლეობისათვის. ამასთან ერთად, ყველა მუნიციპალიტეტში გამოიყენება ე.წ. „ზარის სისტემა“, რაზეც მიუთითებს გამოკითხვის შედეგებიც. თუმცა მუნიციპალიტეტებში ამ მეთოდით მოცულია ბევრად უფრო ნაკლები ტერიტორიები. იქ, სადაც მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ ნარჩენების ორგანიზებულ შეგროვებას, მოსახლეობა თავად იცილებს ნარჩენებს და ამისთვის გამოიყენებს მდინარეებსა და ხეობებში ჩაყრას ან ნარჩენების დაწვას.

სამწუხაროა, რომ გამოკითხულთა გარკვეული რაოდენობა (მცირე, მაგრამ მაინც) ჯერ კიდევ იყენებს ნარჩენების მოცილების ისეთ დაუშვებელ ხერხებს, როგორცაა **ნარჩენების დაწვა**. კერძოდ, ისეთ მუნიციპალიტეტებში, როგორცაა: ბაღდათის მუნიციპალიტეტი (11.4%), ხონის მუნიციპალიტეტი (11%), წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (9.4%), ვანის მუნიციპალიტეტი (5.7%), სამტრედიის მუნიციპალიტეტი (4.4%), ჭიათურის მუნიციპალიტეტი (1.5%), თერჯოლის მუნიციპალიტეტი (1.4%), ტყიბულის მუნიციპალიტეტი (1.5%).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობა ჯერ კიდევ **ყრის ნარჩენებს მდინარეებში**, რაზეც მიუთითებენ რესპონდენტები ვანის, ხონისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებიდან.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერული სისტემით შეგროვებისათვის, როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებულია კონტეინერები. ამ მიზნით, ძირითადად, გამოიყენება კონტეინერები მოცულობით 1.1 კუბ.მ, თუმცა ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ასევე გვხვდება უფრო ნაკლები მოცულობის მქონე კონტეინერებიც. გამოკითხვაში მონაწილე მოქალაქეები მიუთითებენ, რომ შერეული ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერების რაოდენობა მათ საცხოვრებელ უბნებსა და ქუჩებში, ძირითადად, არ არის საკმარისი ისეთ მუნიციპალიტეტებში, როგორცაა: ქალაქი ქუთაისი (58%), წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (56.7%), თერჯოლის მუნიციპალიტეტში (56.3%), ტყიბულის მუნიციპალიტეტში (54.5%). კონტეინერების საკმარის რაოდენობას აღნიშნავენ რესპონდენტები სამტრედიის მუნიციპალიტეტში (64.6%), ბაღდათის მუნიციპალიტეტში (59.6%), ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (51.5%), ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (71.8%), საჩხერის მუნიციპალიტეტში (74.1%). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ არის

საცხოვრებელი უბნები, სადაც ნარჩენების შემკრები კონტეინერები ჯერ კიდევ არ დგას.

უნდა აღინიშნოს, რომ საცხოვრებელ უბნებსა და ქუჩებში განლაგებული **კონტეინერების დაცლასთან დაკავშირებით**, რესპონდენტები მიუთითებენ, რომ მეტწილად ყველა მუნიციპალიტეტში რეგულარულად ხორციელდება შევსებული კონტეინერების დაცლა. კერძოდ, ამაზე მეტყველებს რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგები ისეთ მუნიციპალიტეტებში, როგორიცაა: სამტრედიის მუნიციპალიტეტი (გამოკითხულთა 94.7% აღნიშნავს, რომ კონტეინერების დაცლა რეგულარულად ხორციელდება), ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (93.2%), საჩხერეს მუნიციპალიტეტი (92.5%), ბაღდათის მუნიციპალიტეტი (86.6%), ვანის მუნიციპალიტეტი (79.8%), ტყიბულის მუნიციპალიტეტი (72.4%), ზესტაფონის მუნიციპალიტეტი (69.7%). მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში (თერჯოლის მუნიციპალიტეტი) რესპონდენტთა უმრავლესობამ (56.3%) აღნიშნა, რომ კონტეინერების დაცლა ნარჩენებისგან არ ხორციელდება რეგულარულად. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას მთელი რიგი მუნიციპალიტეტებისათვის წარმოადგენს გადავსებული კონტეინერების დაცლის დიდი ხნით დაყოვნება/**კონტეინერების დაცლა დიდი დაგვიანებით**. აღნიშნული განსაკუთრებით გამოიკვეთა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ქუთაისი (აღნიშნულ ვითარებაზე მიუთითებს გამოკითხულთა 27%), წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (27.6%), იათურის მუნიციპალიტეტი (24.3%), თერჯოლის მუნიციპალიტეტი (15.5%), ტყიბულის მუნიციპალიტეტი (12.2%), ზესტაფონის მუნიციპალიტეტის (6.1%), ვანის მუნიციპალიტეტი (4.8%).

საცხოვრებელი უბნებიდან და ქუჩებიდან **ნარჩენების გატანის გრაფიკთან დაკავშირებით**, რესპონდენტები მიუთითებენ, რომ არსებული გრაფიკით არიან კმაყოფილები ისეთ მუნიციპალიტეტებში, როგორიცაა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (გამოკითხულთა 86.4% გამოთქვამს კმაყოფილებას ნარჩენების გატანის გრაფიკით), საჩხერეს მუნიციპალიტეტი (85.2%), ბაღდათის მუნიციპალიტეტი (81.6%), სამტრედიის მუნიციპალიტეტი (81.4%). რესპონდენტთა უმრავლესობა უკმაყოფილოა ნერცენების გატანის გრაფიკით შემდეგ მუნიციპალიტეტებში: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (გამოკითხულთა 41.7% არ არის კმაყოფილი ნარჩენების გატანის არსებული გრაფიკით), ჭიათურის მუნიციპალიტეტი (32%), ქალაქი ქუთაისი (31%), თერჯოლის მუნიციპალიტეტი (26.4%).

ნარჩენების დახარისხებული შეგროვების განხორციელებისათვის, მეტად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებს გააჩნდეს ინფორმაცია წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის შესახებ. როგორც ცნობილია, რეგიონის მუნიციპალიტეტებს აღნიშნული დაზუსტებული მონაცემები არ გააჩნიათ (თუ არ ჩავთვლით ქუთაისს, სადაც ანალოგიური კვლევა ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი და ფარმაცევტული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ რამდენიმე წლის წინათ).

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა რესპონდენტთა ინფორმაცია, ოჯახის პირობებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების სხვადასხვა კატეგორიის **ნარჩენების წარმოქმნის დაახლოებითი რაოდენობისა და სიხშირის შესახებ**. როგორც ანალიზი გვიჩვენებს,

ყველა მუნიციპალიტეტში, ყველა ოჯახში, ყოველდღიურად და ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოიქმნება კვების პროდუქტების ნარჩენები, მათ შორის ბოსტნეულის, ხილისა და მწვანილის ნარჩენები. ყოველდღიურად გარკვეული რაოდენობის პლასტიკის, მინისა და ქაღალდის (მათ შორის, მუყაოც) ნარჩენები ასევე წარმოიქმნება საოჯახო მეურნეობებში. იშვიათად ან/და არასდროს წარმოიქმნება ძირითადად ისეთი სახის ნარჩენები, როგორიცაა ტექსტილი, ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ოჯახში დიდი რაოდენობით წარმოიქმნება კვების პროდუქტების ნარჩენები, რომელიც ბიოდეგრადირებად ნარჩენებს წარმოქმნის და ექვემდებარება კომპოსტირებას, რესპონდენტთა მხოლოდ მცირე რაოდენობა ფლობს ინფორმაციას **კომპოსტირების შესახებ** და თავად იყენებს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების გადამუშავების ამ მეთოდს (კომპოსტირებას). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა 7-27%-მა სურვილი გამოთქვა დაიწყოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება, თუ ექნება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ პროცესის განხორციელება საოჯახო ან ფერმერული მეურნეობების პირობებში.

ნარჩენების ხელახლა გამოყენების მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებენ ისეთი ტიპის ნარჩენებს, როგორიცაა მინის ბოთლები და ქილები, პლასტიკის ბოთლები და პარკები, კვების პროდუქტების ნარჩენები, ასევე იშვიათად ტექსტილს, კერძოდ, ძველ ტანსაცმელსა და ქსოვილებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პლასტიკის ნარჩენების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომ რეგიონის მუნიციპალიტეტებში ჯერ კიდევ აქტიურად გამოიყენებენ პლასტიკის ბოთლებს, მიუხედავად იმისა, რომ პლასტიკის ბოთლები მიეკუთვნება ერთჯერადი გამოყენების ნივთებს და მათი ხელმეორედ გამოყენება არის გაუმართლებელი პრაქტიკა.

საინტერესოა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას არ აქვს **ნარჩენების მიმღების პუნქტების გამოყენების გამოცდილება**, რისი მიზეზი, პირველ რიგში, შეიძლება იყოს ის, რომ ბევრ მუნიციპალიტეტებში არ არის ნარჩენების მიმღები პუნქტები და მეორე ის, რომ მოსახლეობა არ არის სათანადოდ ინფორმირებული ნარჩენების რეციკლირების მნიშვნელობის შესახებ.

რეკომენდაციები

1. მუნიციპალიტეტებში არსებული ეკოლოგიური პრობლემების შესახებ მოქალაქეების გათვითცნობიერების ამაღლებისათვის საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება.
2. მუნიციპალიტეტებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ საცხოვრებელ უბნებში სისუფთავის დაცვას და დაბინძურების კერების აღმოფხვრას.


3. საჭიროა აღიკვეთოს ნარჩენების წვა და მდინარეებში ნარჩენების ჩაყრა. ამისთვის რეკომენდებულია მოსახლეობის ინფორმირება ნარჩენების წვისა და მდინარეებში ჩაყრის უარყოფითი შედეგების შესახებ, სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით (პუბლიკაციები, ინტერნეტრესურსების გამოყენება, პირადი შეხვედრები და ა.შ.).
4. აუცილებლობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტების დასახლებულ პუნქტებში მნიშვნელოვნად გაიზარდოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების რაოდენობა, რათა ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნას ნარჩენების შეგროვების ორგანიზებული მომსახურებით.
5. მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ შერეული ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერების რეგულარული დაცლა, ამ მიზნით გამოიყენონ დაცლის განრიგების მკაცრი დაცვა, ასევე იზრუნონ ნაგავმზიდი მანქანების პარკის გაახლება და გაფართოებაზე.
6. დაუშვებელია პლასტიკის ბოთლების ხელმეორედ გამოყენება. აუცილებლობას წარმოადგენს, მოსახლეობის დროული ინფორმირება პლასტიკის ბოთლების ხელმეორედ გამოყენების საფრთხეების შესახებ. მუნიციპალიტეტებმა დროულად უზრუნველყონ პლასტიკის განცალკევებული შეგროვებისათვის საჭირო პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს პლასტიკის ნარჩენების ორგანიზებულ შეგროვებას.
7. ნარჩენების მიმღები პუნქტების არსებობისათვის მუნიციპალიტეტებში, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების ხელშეწყობა და შესაბამისი გარემოს შექმნა ან გაუმჯობესება.
8. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების დანერგვისა და პოპულარიზაციისათვის საჭიროა საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, სადემოსტრაციო საკომპოსტე საიტების ორგანიზება, გაცნობითი ვიზიტების ორგანიზება ქუთაისის საკომპოსტე ცენტრში.
9. ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისათვის სპეციალური კონტეინერების დადგმა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სოფლებში, მოსახლეობას რომ მიეცეს საშუალება, დაიწყონ ნარჩენების განცალკევება.
10. ნარჩენების განცალკევებული შეგროვებისათვის აუცილებელი იქნება მნიშვნელოვანი საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემების ორგანიზების შესახებ. ამ მიზნით სასურველი იქნება გამოყენებული იქნას როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული რესურსები.

საჭიროებების კვლევის შედეგები მუნიციპალიტეტების მიხედვით


ქალაქი ქუთაისი

მნიშვნელოვანია საჭიროებების კვლევის ანალიზი ქალაქ ქუთაისისათვის, რადგანაც ქუთაისი ერთ-ერთი წყვანი ქალაქის პლასტიკის სეპარირებისა და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების დანერგვის საქმეში. ამდენად, საზოგადოების არსებული საჭიროებები გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს.


გამოკითხულთა 61% აღნიშნავს, რომ ფლობს ინფორმაციას ქალაქში არსებული ეკოლოგიური პრობლემების შესახებ, ხოლო 39% მიუთითებს, რომ არ ფლობს ამ ინფორმაციას.




გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (50.5%) თვლის, რომ მათი საცხოვრებელი უბანი ნაკლებად დაბინძურებულია, ხოლო 29.7%-ს მიაჩნია, რომ დაბინძურებულია და მხოლოდ 19.8% აღნიშნავს, რომ მათი საცხოვრებელი უბანი არის სუფთა.




საინტერესოა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას (91 %) აწუხებს მყარი ნარჩენების მართვის საკითხები ქალაქში. მხოლოდ 7%-ს ნაკლებად აწუხებს და 2%-ს საერთოდ არ აწუხებს ეს საკითხი.




31%-ს მიაჩნია, რომ მათ საცხოვრებელ უბანში ნარჩენების შეგასროვებელი კონტეინერების რაოდენობა არის საკმარისი, ხოლო ნახევარზე მეტი თვლის, რომ კონტეინერების რაოდენობა არ არის საკარისი (58%).



გამოკითხულთა 56% აღნიშნავს, რომ კონტეინერების დაცლა რეგულარულად ხორციელდება, მხოლოდ 10% არის უკმაყოფილო კონტეინერების დაცლით და მიუთითებს, რომ კონტეინერების არ იცლება რეგულარულად.




შეკითხვაზე, თუ რა ხერხით იცილებენ წარმოქმნილ ნარჩენებს, გამოკითხულთა 73% ნარჩენებს ათავსებს კონტეინერებში. 28% აღნიშნავს, რომ ნარჩენები მიაქვს სპეციალურ ნაგავმზიდს, რომელიც დადის გრაფიკის მიხედვით (ცნობისთვის, ქუთაისის გარკვეულ უბნებში გამოიყენება ზარის სისტემა). მხოლოდ 3% სახლის პირობებში ახარისხებს ნარჩენებს იმისთვის, რომ განათავსოს ნარჩენები ამისთვის განკუთვნილ შესაბამის კონტეინერებში. გამოკითხულთა 1% კი ბიოდეგრადირებადი ნარჩენებიდან ამზადებს კომპოსტს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი რესპონდენტი არ იყენებს ნარჩენების მოცილების ისეთი მიუღებელ ხერხებს, როგორცაა ნარჩენების დაწვა, მდინარეში ჩაყრა ან ქუჩაში დაყრა.




მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რომ ყოველდღიურად ყველაზე დიდი რაოდენობით ოჯახებში წარმოიქმნება კვების პროდუქტების რაოდენობა, მათ შორის ბოსტნულის, ხილისა და მწვანილის ნარჩენები. ასევე დიდი რაოდენობით წარმოიქმნება პლასტიკის ნარჩენები, მათ შორის, განსაკუთრებით პლასტიკის ბოთლები და პარკები. რესპონდენტები ასევე მიუთითებენ, რომ იშვიათად წარმოიქმნება ისეთი ნარჩენები, როგორცაა ტექსტილი, მოძველებული ტექნიკა (ელექტრონიკა და ელექტრონული მოწყობილობები).

თქვენს ოჯახში რომელი საყოფაცხოვრებო ნარჩენი გროვდება ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ შესაბამისი ველი)




წარმოქმნილი ნარჩენებიდან ხელმეორედ ყველაზე უფრო მეტად გამოიყენება მინის ტარა (ქილები და ბოთლები) – 28%, ტექსტილი (ძველი ტანსაცმელი და ქსოვილები) – 17% და ასევე პლასტმასის ბოთლები და პარკები - 17%, ასევე გამოიყენებენ მაკულატურას (15%).

რომელ ნარჩენს იყენებთ ხელახლა




გამოკითხულთა 42% უსარგებლია ნარჩენების მიმღები პუნქტებით, ხოლო 52% საერთოდ არ უსარგებლია ამით.


თუ გისარგებლიათ როდესმე/ან სარგებლობთ ნარჩენების მიმღები პუნქტებით (მაკულატურის, პლასტმასის, ლითონის, მინის, ნახმარი აკუმულატორების და ა.შ.)



გამოკითხულთა 61% ინფორმირებულია ქუთაისში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების არსებობის შესახებ, რადგანაც შესაბამის შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 18% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ამის შესახებ.




მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ გამოკითხულთა 95% მზადყოფნას გამოთქვამს ნარჩენების სეპარირების აქტივობებში ჩართვისათვის, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემათ. მხოლოდ 1% არის წინააღმდეგი და 4%-მა არ იცის როგორ მოიქცევა.



შეკითხვაზე, დახარისხებული ნარჩენების შეგროვების რომელიც ხერხი უფრო მისაღებია, რესპონდენტებმა უპირატესობა მიანიჭეს ნარჩენების სახლში დახარისხებას და გამოცალკევებული ნარჩენების შესაბამის კონტეინერებში განთავსებას (60%). 20%-თვის მისაღებია ნარჩენების მიტანა მიმდებ პუნქტებში და შესაბამისი ანაზღაურების მიღება. 15%-ს ურჩევნია შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში.


დახარისხებული ნარჩენების შეგროვების რომელი ხერხი უფრო მისაღებია თქვენთვის?



- სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსება
- დახარისხებული ნარჩენების მიმდებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება
- ორგანული ნარჩენებისგან სახლში კომპოსტის მომზადება, ხოლო დანარჩენი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება 1.9%
- შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში
- არ ვიცი
- არ მაინტერესებს

რაც შეეხება ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირებას და ამ მეთოდის გამოყენებას საკუთარ მეურნეობაში: მხოლოდ 9% იყენებს კომპოსტირებას, ხოლო 71% - საერთოდ არ იყენებს ამ მეთოდს. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 20% გამოიყენებდა ამ მეთოდს, რომ ჰქონდეს შესაბამისი ინფორმაცია.

თუ გაქვთ ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება?




- რამდენიმე წელია ვახორციელებ კომპოსტირებას და მიღებულ პროდუქტს ვიყენებ საკუთარ მეურნეობაში
- არა
- გამოვიყენებდი ამ მიდგომას, მაგრამარ მაქვს ინფორმაცია, როგორგავაკეთო ეს
- საერთოდ არ მაინტერესებს


წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

საჭიროებების კვლევაში მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.


გამოკითხულთა 53.1% ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, ხოლო 44.5% - არ ფლობს ამ ინფორმაციას და 2.4%-საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხი.




გამოკითხულთა 6.2% მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი უბანი არის ძალიან სუფთა, 18%-ს - სუფთა, ხოლო უმრავლესობა (55.5%) თვლის, რომ არის ნაკლებად დაბინძურებული. მხოლოდ 18.8%-ს მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი უბანი არის დაბინძურებული.




საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემით ძალიან შეწუხებულია 28.9%, ხოლო 36.7%- არის შეწუხებული. აღნიშნული პრობლემა ნაკლებად აწუხებს - 20.3%. მხოლოდ 10.1%-ს არ აწუხებს ეს საკითხი., ხოლო 4%- საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხი.





სამწუხაროდ, გამოკითხულთა 22% მოსახლეობა თავად იცილებს ნარჩენებს მისთვის მოსახერხებელი ხერხით (კერძოდ, ეს შეიძლება იყოს მდინარეებში, ხეობებსა და გზების გასწვრივ განთავსება), რაც გაუმართლებელ ქმედებებზე მიუთითებს..




რესპონდენტთა 56.7% აღნიშნავს, რომ მათ საცხოვრებელ უბანში არ არის საკმარის რაოდენობის კონტეინერები საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად.



გამოკითხულთა 38.6% აღნიშნავს, რომ კონტეინერები მათ უბანში იცლება რეგულარულად, თუმცა 28.3% მიუთითებს, რომ კონტეინერების დაცლა არ ხდება რეგულარულად, ხოლო 27.6% მიუთითებს რომ დაცლა, როგორც წესი, ხდება დიდი დაგვიანებით.




საინტერესოა, რომ ყოველდღიურად ყველაზე დიდი რაოდენობით ოჯახების პირობებში წარმოიქმნება კვების პროდუქტების ნარჩენები, მათ შორის ბოსტნულის, მწვანე ხილისა და ხილის ნარჩენები. პლასტიკის ნარჩენები მძვინვარებს რაოდენობით და სინშირით წარმოქმნილ ნარჩენებს შორის. იშვიათად ან საერთოდ არ წარმოიქმნება ისეთი სახის ნარჩენები, როგორცაა ტექსტილი, გამოყენებული ან მოძველებული ელექტრონიკა და ელექტრონული მოწყობილობები.




ყველაზე ხშირად გამოკითხული რესპონდენტები ხელახლა გამოიყენებენ ისეთ ნარჩენებს, როგორცაა: პლასტიკის ბოთლები და პარკები (24.4%), მინის ქილები და ბოთლები (18.9%), კვების პროდუქტები (12.6%), ძველი ტანსაცმელი და ქსოვილები (11%).

რომელ ნარჩენს იყენებთ ხელახლა




74.8% წარმოქმნილ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ათავსებს კონტეინერებში. 7% აღნიშნავს, რომ ნარჩენები მიაქვს სპეციალურ ნაგავმზიდს, რომელიც დადის გრაფიკის მიხედვით. სამწუხაროდ, გამოკითხულთა 9.4% ნარჩენებს წვავს საკუთარ ეზოში. რესპონდენტთა 1.8% ბიოდეგრადირებადი ნარჩენებსგან ამზადებს კომპოსტს, 2.3%-ახარისხებს და ათავსებს სპეციალურ კონტეინერში ან აბარებს ნარჩენების მიმღებ პუნქტებში.

რა ხერხით იცილებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თქვენი ოჯახიდან?




- ვათავსებ ქუჩაში დადგმულ კონტეინერში
- მიაქვს სპეციალურ ნაგავმზიდს, რომელიც დადის გრაფიკის მიხედვით
- ვწვავ ეზოში
- ვახარისხებ და ვაბარებ ამისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში ვაბარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს
- ვახარისხებ და ვაბარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს
- ორგანულ ნარჩენებისგან ვამზადებ კომპოსტს
- ვერი მდინარეში

გამოკითხულთა 69.3%-ს არ უსარგებლია ნარჩენების მიმღები პუნქტებით საერთოდ, მხოლოდ 20.5%-ს უსარგებლია ნარჩენების მიმღები პუნქტების მიერ.




გამოკითხულთა 70.1% მზადყოფნას გამოთქვამს დაიწყოს ნარჩენების დახარისხებული შეგროვება, თუ ამის პირობები შეიქმნება მის საცხოვრებელ უბანში, მხოლოდ 6.2%-ს არ სურს ამის გაკეთება, 18.5% კი არ იცის როგორ მოიქცეს.



დახარისხებული ნარჩენების შეგროვების ხერხებიდან, რესპონდენტებისათვის ყველაზე მისაღებია სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსება (56.7%). დაუხარისხებელი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში მისაღებია გამოკითხულთა 17.3%-თვის. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება მისაღებია გამოკითხულთა 2.4%-თვის. 11.8%-მა - არ იცის, ხოლო 2.4%-ს საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხი.

დახარისხებული ნარჩენების შეგროვების რომელი ხერხი უფრო მისაღებია თქვენთვის?




- სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსება
- დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება
- ორგანული ნარჩენებისგან სახლში კომპოსტის მომზადება, ხოლო დანარჩენი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება
- შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში
- არ ვიცი
- არ მაინტერესებს

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულება არის შემდეგი:

- 5.6 % რამდენიმე წელია ახორციელებს კომპოსტირებას და მირებულ პროდუქტს იყენებს საკუთარ მეურნეობაში;
- 22% გამოიყენებდა ამ მიდგომას, მაგრამ არა აქვს შესაბამისი ინფორმაცია;
- 11% საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხი.
- 61.4% არ იყენებს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების მეთოდს საკუთარ პრაქტიკაში.

თუ გაქვთ ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება?




- რამდენიმე წელია ვახორციელებ კომპოსტირებას და მიღებულ პროდუქტს ვიყენებ საკუთარ მეურნეობაში
- არა
- გამოვიყენებდი ამ მიდგომას, მაგრამ არ მაქვს ინფორმაცია, როგორ გავაკეთო ეს
- საერთოდ არ მაინტერესებს


სამტრედიის მუნიციპალიტეტი

ნარჩენების მართვის საჭიროებებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ მოსახლეობის აზრის შესწავლის მიზნით ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა მოქალაქემ. სულ გამოკითხული იქნა 113 ადამიანი, ამისთვის გამოყენებული იქნა წინასწარ მომზადებული კითხვარი.


როგორც ანალიზმა გვიჩვენა, გამოკითხულთა 73.5% ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში გარემოს მდგომარეობის შესახებ, 26.5% არ გააჩნია ამის შესახებ ინფორმაცია, ხოლო 0.8% საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხი.




გამოკითხულთა 38.1% მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი უბანი არის სუფთა, ხოლო 46.9% თვლის, რომ არის ნაკლებად დაბინძურებული. მხოლოდ 8% აღნიშნავს, რომ მათი უბანი არის დაბინძურებული.




გამოკითხულთა უმრავლესობა 81.9 % შეწუხებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემით ზოგადად, მხოლოდ 0.9% არ გამოთქვამს რაიმე ინტერესს ამ საკითხის მიმართ.




გამოკითხულთა 64.6% თვლის, რომ კონტეინერების რაოდენობა მათ საცხოვრებელ უბანში/ქუჩაზე სავსებით საკმარისია, მხოლოდ 2.7% მიუთითებს, რომ საერთოდ არ არის კონტეინერები.



94.7% აღნიშნავს, რომ მათ უბანში რეგულარულად ხდება კონტეინერების დაცლა, მხოლოდ 1.7% მიუთითებს, რომ კონტეინერების დაცლა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დიდი დაგვიანებით ხორციელდება.




გამოკითხულთა 81.4% აკმაყოფილებს ქუჩებიდან/ საცხოვრებელი უბნებიდან მუნიციპალური ნარჩენების გატანის გრაფიკი.



საინტერესოა, რომ ოჯახის პირობებში წარმოქმნილი ნარჩენებიდან ხელახლა იყენებენ მინის ტარას (36.3%), პლასტმასის ბოთლებს და პარკებს (28.3%), ჯართს (13.3%), ტექსტილს (ძველი ტანსაცმელი და ქსოვილი) (8.8%).


ადნიშნულიდან რომელ ნარჩენს იყენებთ ხელახლა (მონიშნეთ)



- კვების პროდუქტების ნარჩენები
- ტექსტილი (ძველი ტანსაცმელი და ქსოვილი)
- მაკულატურა
- პლასტმასის ბოთლები და პარკები
- ჯართი
- მინის ტარა (ქილები და ბოთლები)
- მომგვლებული ტექნიკა (ელექტროხელსაწყოები და მათი დეტალები)
- სხვა (მიუთითეთ)


გამოკითხულთა უმეტესობა (83.2%) ოჯახში წარმოქმნილ ნარჩენებს თავიდან მოცილების მიზნით ათავსებენ ქუჩაში დადგმულ კონტეინერებში. სამწუხაროდ, ნარჩენებს ჯერ კიდევ წვავს გამოკითხულთა 4.4%. კარგია, რომ გამოკითხულთა 3.6% ახორციელებს ორგანული ნარჩენების კომპოსტირებას.

რა ხერხით იცილებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თქვენი ოჯახიდან?




- ვათავსებ ქუჩაში დადგმულ კონტეინერში
- მიაქვს სპეციალურ ნაგავშიდს, რომელიც დადის გრაფიკის მიხედვით
- ვწვავ ეზოში
- ვახარისხებ და ვათავსებ ამისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში ვაზარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს
- ვახარისხებ და ვაზარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს
- ორგანულ ნარჩენებისგან ვამზადებ კომპოსტს
- ვყრი მდინარეში
- ვყრი ქუჩაში

მნიშვნელოვანი რესპონდენტთა მზადყოფნა დაიწყო ნარჩენების დახარისხებული შეგროვება, თუ ამის პირობები იქნება შექმნილი მუნიციპალურ დონეზე. გამოკითხულთა 86.7% მზად არის დაიწყო ნარჩენების სეპარირება. მხოლოდ 7% არ გამოთქვამს სურვილს ამ პროცესში მონაწილეობისა, ხოლო 6.3%-მა ჯერ კიდევ არ იცის როგორ მოიქცევა.




საყურადღებოა, რომ ნარჩენების სეპარირების მეთოდებიდან, ყველაზე მისაღებია ნარჩენების სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერებში განთავსება (70.8%), ასევე მისაღები მიდგომებია:

- შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში (12.4%)
- დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება (8.1%)
- ორგანული ნარჩენებისგან სახლში კომპოსტის მომზადება, ხოლო დანარჩენი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება (1.7%)



კომპოსტირება, როგორც ბიოდეგრადირებადი ნარჩენების გადამუშავების მეთოდი, ნაკლებად არის გავრცელებული. რესპონდენტთა მხოლოდ 16.8%-მა აღნიშნა, რომ ახორციელებს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირებას და იყენებს მიღებულ პროდუქტს საკუთარ მეურნეობაში. გამოკითხულთა 8.0% აღნიშნავს, რომ გამოიყენებდა ამ მიდგომას, მაგრამ არა აქვს შესაბამისი ინფორმაცია.




ვანის მუნიციპალიტეტი

ნარჩენების მართვისა და რეციკლირების სფეროში საჭიროებების კვლევის მიზნით გაიმართა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგები მოყვანილია ქვემოთ.


გამოკითხულთა 78.7% თვლის, რომ ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, ხოლო 20.5%-ს არ გააჩნია ეს ინფორმაცია და მხოლოდ 0.8% არ აინტერესებს ეს საკითხი.

ფლობთ თუ არა ინფორმაციას თქვენი მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ?




გამოკითხულთა 48.4% თვლის, რომ მათი საცხოვრებელი უბნი ნაკლებად დაბინძურებულია. 21.3%-ს მიაჩნია, რომ მათი უბანი სუფთაა, მხოლოდ 29.5% თვლის, რომ მათი საცხოვრებელი უბანი დაბინძურებულია.

როგორ შეაფასებდით თქვენი საცხოვრებელი უბნის სისუფთავის დონეს?




საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემებით შეწუხებულია გამოკითხულთა 50.8%, ხოლო 29.5%-ს საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხები.


რამდენად გაწუხებთ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა?




გამოკითხულთა 47.5% აღნიშნავს, რომ კონტეინერების რაოდენობა მათ საცხოვრებელ უბანში არ არის საკმარისი რაოდენობით, ხოლო 45.1%-ს მიაჩნია, რომ კონტეინერების რაოდენობა არის საკმარისი.




გამოკითხულთა 79.8% აღნიშნავს, რომ კონტეინერების დაცლა რეგულარულად ხორციელდება. მხოლოდ 9.8% მიუთითებს, რომ კონტეინერები იცლება არარეგულარულად.



რესპონდენტთა 68% კმაყოფილია მათი საცხოვრებელი უბნიდან/ქუჩიდან ნარჩენების გატანის გრაფიკით. მხოლოდ 15.6% არსი უკმაყოფილი ამ სახის მომსახურებით.




როგორც გამოკითხვამ გვიჩვენა, რესპონდენტები წარმოქმნილი ნარჩენებისგან ხელმეორედ გამოიყენებენ უმეტეს შემთხვევებში მინის ქილებსა და ბოთლებს (56.6%). ნაკლებად იყენებენ კვების პროდუქტების ნარჩენებს (9%), ლითონის ნარჩენებს (7.4%), მეორად ქაღალდსა და მუყაოს (2.5%). მოსახლეობა ასევე იყენებს პლასტმასის ქილებსა და პარკებს (13.1%).




გამოკითხულთა 84.4% ოჯახებში წარმოქმნილ ნარჩენებს ათავსებენ ქუჩებში დადგმულ კონტეინერებში. 3.4% ბიოდეგრადირებად ნარჩენებს იყენებს კომპოსტირებისათვის. სამწუხაროდ, რესპონდენტთა 5.7% ნარჩენებს წვავს ეზოში, ხოლო 1.6% ნარჩენებს ყრის პირდაპირ მდინარეებში, რაც ასევე მიუღებელია.




კარგია, რომ გამოკითხულთა 86.1% გამოთქვამს მზადყოფნას დაიწყოს ნარჩენების დახარისხება, თუ ვანის მუნიციპალიტეტი დაიწყებს სეპარირების სისტემების დანერგვას. მხოლოდ 1.6% უარყოფიფა არის აღნიშნული საქმიანობის მიმართ. 12.3%-მა კი არ იცის რას იზამს.



ნარცენების დახარისხების მეთოდებიდან, ყველაზე მისაღები არის სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსება (43.4%), ისევე როგორც დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება (42.6%). მხოლოდ გამოკითხულთა 9.8% მხარს უჭერს შერეული ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსებას მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში.




გამოკითხულთა 73.8% არა აქვს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება, თუმცა 20.5% მზადყოფნას გამოთქვამს კომპოსტირების გამოყენებაზე, თუ ექნება ინფორმაცია კომპოსტირების შესახებ.




ბაღდათის მუნიციპალიტეტი


ბაღდათის მუნიციპალიტეტში განხორციელებულმა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ რესპონდენტთა 81.6% ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, მხოლოდ 14.9%-ს არ გააჩნია ეს ინფორმაცია.




გამოკითხულთა 52.6%-ს მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი უბანი არის სუფთა, ხოლო 16.7% თვლის, რომ არის ძალიან სუფთა. მხოლოდ 24.6%-ს აზრით მათი საცხოვრებელი უბანი არის ნაკლებად დაბინძურებული.




გამოკითხულთა 16.7% ძალიან აწუხებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა, 28.9% ასევე შეწუხებულია ამ საკითხით. ნაკლებად აწუხებს ეს პრობლემა - 28.1%-ს. საერთოდ არ აწუხებს ნარჩენების პრობლემა 25.4%-ს.




რესპონდენტთა 59.6% თვლის, რომ მათ საცხოვრებელ უბანში კონტეინერების რაოდენობა არის საკმარისი, ხოლო 34.2%-ს მიაჩნია, რომ კონტეინერების რაოდენობა მალე უბანში არ არის საკმარისი.



კონტეინერების დაცლის შესახებ, გამოკითხულთა 86.8% აღნიშნავს, რომ კონტეინერები რეგულარულად იცლება, 6.1% მიაჩნებს, რომ კონტეინერები დიდი დაგვიანებით იცლება და 4.4% არნიშნავს, რომ კონტეინერები არარეგულარულად იცლება.



გამოკითხულთა 81.6% კმაყოფილია ნარჩენების ქუჩიდან/უბნიდან ნარჩენების გატანის გრაფიკით. ნაკლებად კმაყოფილია - 7% და არ არის კმაყოფილი - 6.1%.




აღსანიშნავია, რომ ნარჩენების ხელმეორედ გამოყენების მხრივ უნდა აღინიშნოს:

- კვების პროდუქტების ნარჩენები - 24.6%
- მინის ტარა (ბოთლები და ქილები) – 21.1%
- ტექსტილი (ძველი ტანსაცმელი და ქსოვილები) – 8.8%
- მაკულატურა - 6.1%
- ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობა- 4.4%.

მოსახლეობა ასევე ხელმეორედ გამოიყენებს პლასტიკის ბოთლებსა და პარკებს - 25.4%.


რომელ ნარჩენს იყენებთ ხელახლა



- კვების პროდუქტების ნარჩენები
- ტექსტილი (ძველი ტანსაცმელი და ქსოვილი)
- მაკულატურა
- პლასტმასის ბოთლები და პარკები
- ჯართი
- მინის ტარა (ქილები და ბოთლები)
- მომველებული ტექნიკა (ელექტროხელსაწყოები და მათი დეტალები)
- სხვა (მიუთითეთ)


გამოკითხულთა 74.6% ოჯახებში წარმოქმნილ ნარჩენებს ათავსებენ კონტეინერებში. სამწუხაროდ, გამოკითხულთა 11.4% ჯერ კიდევ წვავს ნარჩენებს საკუთარ ეზოებში.

რა ხერხით იცილებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თქვენი ოჯახიდან?




- ვათავსებ ქუჩაში დადგმულ კონტეინერში
- ვაბარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს
- წვავ ეზოში
- ვახარისხებ და ვაბარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს
- როგორც მომიხერხდება ისე ვიცილებ თავიდან
- ვფრთხილობ
- ვფრთხილობ


რესპონდენტთა 66.7% გამოთქვამს მზადყოფნას დაიწყოს ნარჩენების დახარისხებული შგროვება, თუ მუნიციპალიტეტში იქნება უზრუნველყოფილი შესაბამისი პირობები. ამასთან ერთად 24.6% არ იცის როგორ მოიქცევა. მხოლოდ 6.1% არ სურს ამ პროცესში ჩართვა.



გამოკითხულთა 43%-თვის მისაღებია ნარჩენების სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსება. 27.2%-თვის მისაღებია დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება. 10.5% ემხრობა ორგანული ნარჩენებისგან სახლში კომპოსტის მომზადებას, ხოლო დანარჩენი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსებას.




ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება აქვს მხოლოდ 11.4%, ხოლო 57% საერთოდ არა აქვს ეს გამოცდილება. 27.4% გამოიყენებდა ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირებას, ინფორმაცია რომ ჰქონდეს მის შესახებ.




ხონის მუნიციპალიტეტი

ხონის მუნიციპალიტეტში რესპონდენტთა 47% ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, ხოლო 43% აღიარებს, რომ ამ ინფორმაციას ვერ ფლობს. მხოლოდ 10% ეს არ აინტერესებს.




თავისი საცხოვრებელი უბნის სისუფთავის დონის შესახებ რესპონდენტები თვლიან, რომ:


- ძალიან სუფთაა - მხოლოდ 17%;
- სუფთაა - 31%;
- ნაკლებად დაბინძურებულია - 36%;
- დაბინძურებულია - 12%;
- არ აინტერესებს - 4%.




მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემით ძალიან შეწუხებულია 24%, აწუხებს 43%-ს, ნაკლებად აწუხებს -16%-ს. არ აწუხებს მხოლოდ 10% და არ არის დაინტერესებული არ საკითხებით - 7%.




გამოკითხულთა 46% აღნიშნავს, რომ კონტეინერების რაოდენობა მათ საცხოვრებელ უბანში არ არის საკმარისი. 34% თვლის, რომ კონტეინერების რაოდენობა არის საკმარისი. 14% მიუთითებს იმაზე, რომ მათ უბანში საერთოდ არ არის კონტეინერები.



გამოკითხულთა 42% აღნიშნავს, რომ კონტეინერები რეგულარულად იცლება, ხოლო 38% მიუთითებს, რომ კონტეინერების არარეგულარულად იცლება. 6% თვლის, რომ კონტეინერები დიდი დაგვიანებით იცლება.




რესპონდენტთა 41% კმაყოფილია მათი საცხოვრებელი უბნიდან ნარჩენების გატანის გრაფიკით, 39% კი ნაკლებად არის კმაყოფილი, მაშინ, როცა 13% არ არის კმაყოფილი.




ნარჩენების ხელმეორედ გამოყენების მხრივ, გამოკითხულთა 25% ხელმეორედ იყენებს კვების პროდუქტების ნარჩენებს, 13% იყენებს მაკულატურას, ტექსტილს - 14%, მინას -9%.

19% კი პლასტიკის ნარჩენებს იყენებს ხელმეორედ, მათ შორის ბოთლებსა და პარკებს.



საინტერესოა, რა ფორმით იცილებენ მოქალაქეები საყოფაცხოვრებო ნარჩენებს. გამოკითხულთა უმრავლესობა, 58% ნარჩენებს ათავსებს ქუჩებში დადგმულ კონტეინერებში. 23% აღნიშნავს, რომ ეს ნარჩენები მიაქვს ნაგავზბიდს (იქ, სადაც ხორციელდება ზარის სისტემა), 11% საყოფაცხოვრებო ნარჩენებს წვავს თავის ეზოში. მხოლოდ 3% ახარისხებს ნარჩენებს და ათავსებს შესაბამის კონტეინერში (ცნობისთვის, ხონის მუნიციპალიტეტში არსებობს პლასტიკის სეპარირების კონტეინერები). მხოლოდ ერთი პროცენტი ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისგან ამზადებს კომპოსტს. 1% ნარჩენებს ჯერ კიდევ მდინარეებში ყრის.


რა ხერხით იცილებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თქვენი ოჯახიდან?



- ვათავსებ ქუჩაში დადგმულ კონტეინერში
- მიაქვს სპეციალურ ნაგავშიდს, რომელიც დადის გრაფიკის მიხედვით
- ვწვავ ეზოში
- ვახარისხებ და ვათავსებ ამისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში
- ვახარისხებ და ვაბარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს
- ორგანულ ნარჩენებისგან ვამზადებ კომპოსტს
- ვყრი მდინარეში
- ვყრი ქუჩაში
- როგორც მომიხერხდება ისე ვიცილებ თავიდან

გამოკითხულთა 50% გამოთქვამს ნარჩენების სეპარირების მხარდაჭერას., თუმცა 20% არ არის მზად განახორციელოს სეპარირება, 22% საერთოდ არ იცის, რას იზამს, მხოლოდ 8% არ აინტერესებს ნარჩენების სეპარირების საკითხები.

თუ თქვენს მუნიციპალიტეტებში/ თქვენს საცხოვრებელ უბანში/ქუჩაზე დაიწყება ნარჩენების დახარისხებული შეგროვება, მიიღებთ მასში მონაწილეობას?




- დიახ
- არა
- არ ვიცი
- არ მაინტერესებს


დახარისხებული ნარჩენების შეგროვების ყველაზე მისახებია:

- სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსება (48%),
- დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება (24%),

- ორგანული ნარჩენებისგან სახლში კომპოსტის მომზადება, ხოლო დანარჩენი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება (13%),
- შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში (4%).




გამოკითხულთა 41% აქვს კომპოსტირების გამოცდილება, რაც ძალიან კარგია. თუმცა 45% არ გამოიყენებს ამ მეთოდს. კარგია, რომ გამოკითხულთა გარკვეული ნაწილი (8%) გამოთქვამს სურვილს გამოიყენოს კომპოსტირება თავის პრაქტიკაში ინფორმაციის არსებობის პირობებში.




ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 80.2% მიუთითებს, რომ ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ 19.8% აღიარებს, რომ ასეთი ინფორმაცია არ გააჩნია.




გამოკითხულთა მიერ თავისი საცხოვრებელი უბნის სისუფთავე შემაფესუბი იქნება შემდეგი სახით:


- ძალიან სუფთა - 0
- სუფთა - 19.8%
- ნაკლებად დაბინძურებული - 50.5%
- დაბინძურებული - 29.7%.




გამოკითხულთა 51.5% აწუხებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა, 27.7% ეს საკითხი ძალიან აწუხებს. 14.9%-ს ეს საკითხი ნაკლებად აწუხებს. მხოლოდ 5% ნარჩენების პრობლემა არ აწუხებს.




რესპონდენტთა 51.5% თვლის, რომ კონტეინერების რაოდენობა მათ საცხოვრებელ უბანში/ქუჩაში არის საკმარისი რაოდენობით. 30.7% მიაჩნია, რომ კონტეინერების რაოდენობა არ არის საკმარისი. ხოლო 17.8% მიუთითებს, რომ კონტეინერები საერთოდ არ არის მათ უბანში.




გამოკითხულთა 69.7% აღნიშნავს, რომ კონტეინერების დაცლა რეგულარულად ხდება, მხოლოდ 13.1% თვლის, რომ კონტეინერები არ იცლება რეგულარულად. რესპონდენტთა 6.1% აღნიშნავს, რომ კონტეინერები დიდი დაგვიანებით იცლება.




გამოკითხულთა 57.4%-ს აკმაყოფილებს კონტეინერების დაცლის გრაფიკი. 19.8%-ს კონტეინერების დაცლის გრაფიკი არ აკმაყოფილებს, ხოლო 2%-ს საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხი.



საყოფაცხოვრებო ნარჩენების თავიდან მოსაცილებათ 71.3% იყენებს ქუჩაში დადგმულ კონტეინერებს. გამოკითხულთა 24.8% აღნიშნავს, რომ ნარჩენები მიაქვს სპეციალურ ნაგავმზიდს.




მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა 84.2% გამოთქვამს მზადყოფნას დაიწყოს ნარჩენების დახარისხებული შეგროვება, თუ ამის სისტემები დაინერგება მუნიციპალიტეტში.



გამოკითხულთა 57.4% ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისათვის ურჩევნია სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსება. 20.8% პრიორიტეტს ანიჭებს დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარებას და შესაბამისი ანაზღაურების მიღებას. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების დაწყებას მხოლოდ გამოკითხულთა 1% აპირებს. გამოკითხულთა 13.9% თვლის მისაღებად შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსებას მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში. 6% -მა კი არ იცის რომელი მეთოდი უფრო მისაღებია.


დახარისხებული ნარჩენების შეგროვების რომელი ხერხი უფრო მისაღებია თქვენთვის?



- სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსება
- დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება
- ორგანული ნარჩენებისგან სახლში კომპოსტის მომზადება, ხოლო დანარჩენი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება
- შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში
- არ ვიცი

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება გააჩნია გამოკითხულთა 86.1%. 7%-მა აღნიშნა, რომ გამოიყენებდა კომპოსტირებას, თუ ექნებოდა შესაბამისი ინფორმაცია ამ პროცესის წარმართვის შესახებ. მხოლოდ 5%-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ახორციელებს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირებას.


თუ გაქვთ ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება?




- რამდენიმე წელია ვახორციელებ კომპოსტირებას და მიღებულ პროდუქტს ვიყენებ საკუთარ მეურნეობაში
- არა
- გამოვიყენებდი ამ მიდგომას, მაგრამარ მაქვს ინფორმაცია, როგორგავაკეთო ეს
- საერთოდ არ მაინტერესებს

თერჯოლის მუნიციპალიტეტი


თერჯოლის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 76.1% აღნიშნავს, რომ ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, ხოლო 23.9%-ს არ გააჩნია ეს ინფორმაცია.




რესპონდენტთა 31% აღნიშნავს, რომ მათი საცხოვრებელი უბანი არის სუფთა, ხოლო 11.3%-ს მიაჩნია, რომ არის ძალიან სუფთა, თუმცა უმრავლესობა თვლის (57.7%), რომ მათი საცხოვრებელი უბანი არის ნაკლებად დაბინძურებული.




გამოკითხულთა 63.4%-ს რეალურად აწუხებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა, ხოლო 25.4% ძალიან არის შეწუხებული ამ საკითხით. მხოლოდ უმცირესობას ნაკლებად (5.6%) ან საერთოდ ან აწუხებს (4.2%) ნარჩენების პრობლემები.




თერჯოლის მუნიციპალიტეტში ძირითადად გამოიყენება ნარჩენების შეგროვების კონტეინერული სისტემა, ამაზე მიუთითებს გამოკითხულთა 87.3%. ასევე გამოიყენება ზარის სისტემა (7%). და გამოკითხულთა 5.7% თავად იცილებს ნარჩენებს მისთვის მოსახერხებელი ხერხით, რაც შეიძლება იყოს ნარჩენების ჩაყრა მდინარეებსა და ხეობებში, გზების გასწვრივ განთავსება.



საინტერესოა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა(56.3%) მიუთითებს, რომ მათ საცხოვრებელ უბანში კონტეინერების რაოდენობა არ არის საკმარისი. მხოლოდ 28.2% აღნიშნავს, რომ კონტეინერების რაოდენობა საკმარისია ნარჩენების შესაგროვებლად.




რესპონდენტთა უმრავლესობა (54.9%) მიუთითებს იმაზე, რომ კონტეინერების დაცლა ხდება რეგულარულად, თუმცა 19.7% აღნიშნავს, რომ კონტეინერების დაცლა ხდება არარეგულარულად, ხოლო 5.7% მიუთითებს იმაზე, რომ კონტეინერები დიდი დაგვიანებით იცლება და გადატვირთულია ნარჩენებით.



გამოკითხულთა 36.6% კმაყოფილია, ხოლო 35.2% ნაკლებად კმაყოფილია მათი საცხოვრებელი უბნიდან/ქუჩიდან ნარჩენების გატანის გრაფიკით. 26.8% არ არის კმაყოფილი კონტეინერების დაცლის გრაფიკით.


გაკმაყოფილებთ თუ არა, თქვენი ქუჩიდან /საცხოვრებელი უბნიდან ნარჩენების გატანის გრაფიკით?



- მაკმაყოფილებს
- ნაკლებად მაკმაყოფილებს
- არ მაკმაყოფილებს
- არ მაინტერესებს


კარგია, რომ გამოკითხულთა 74.6% წარმოაქმნილ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ათავსებს თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებულ კონტეინერებში. მაგრამ, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 1.4% ნარჩენებს წვავს მათი თავიდან მოცილების მიზნით, რაც დაუშვებელია. 18.3% კი ნარჩენებს ტავიდან იცილებს ისე, როგორც მოუხერხდება.

რა ხერხით იცილებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თქვენი ოჯახიდან?




- ვათავსებ ქუჩაში დადგმულ კონტეინერში
- მიაქვს სპეციალურ ნაგავშიდს, რომელიც დადის გრაფიკის მიხედვით
- ვწვავ ეზოში
- ვახარისხებ და ვათავსებ ამისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში
- ვახარისხებ და ვაბარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს
- ორგანულ ნარჩენებისგან ვამზადებ კომპოსტს
- ვყრი მდინარეში
- ვყრი ქუჩაში
- როგორც მომიხერხდება ისე ვიცილებ თავიდან


კარგია, რომ აბსოლუტური უმრავლესობა (80,3%) მზადყოფნას გამოთქვამს დაიწყო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, თუ ამისთვის შესაბამისი პირობები იქნება უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.



ნარჩენების სეპარირების მიდგომებიდან, რესპონდენტათვის ყველაზე მისაღებ მეთოდს წარმოადგენს დახარისხება სახლის პირობებში და განთავსება დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში (69%), 16.9%-თვის მისაღებია ასევე დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება. ორგანული ნარჩენებისგან სახლში კომპოსტის მომზადება, ხოლო დანარჩენი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება მისაღებია 8.5%-სათვის.




საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 15.5% იყენებს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირებას. 56.3% არ იყენებს კომპოსტირებას, ხოლო 28.2% გამოიყენებდა კომპოსტირებას, თუ ექნებოდა ამის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია.




ტყიბულის მუნიციპალიტეტი


აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 70.7% ფლობს ინფორმაციას ტყიბულის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. მხოლოდ 28.5% ვერ ფლობს ამ ინფორმაციას და 0.8% საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხი.




გამოკითხულთა უმრავლესობას (56.9%) მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი უბანი/ქუჩა არის ნაკლუად დაბინძურებული, ხოლო 17.9% - დაბინძურებული. მხოლოდ 2.4% თვლის, რომ მათი საცხოვრებელი უბანი არის ძალიან სუფთა და 22.8%- სუფთა.



რესპონდენტთა 47.2% აწუხებს და 32.5% ძალიან აწუხებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა. ეს საკითხი ნაკლებად აწუხებს მხოლოდ 14.6%-ს და არ აწუხებს -5.7%.




გამოკითხულთა ნახევარზე (54.5%) მეტი მიუთითებს კონტეინერების უკმარისობაზე თავიანთ საცხოვრებელ უბნებში, როცა 41.5% აღნიშნავს, რომ კონტეინერების რაოდენობა საკმარისია. ამასთან ერთად, 3.2% მიუთითებს, რომ კონტეინერები მათ საცხოვრებელ უბანში საერთოდ არ არის.




კონტეინერების დაცლასთან დაკავშირებით რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ:

- რეგულარულად ხდება მათი დაცლა - 72.4%,
- არ ხდება რეგულარულად დაცლა - 12.2%,
- დიდი დაგვიანებით ხდება დაცლა - 12.2%.




გამოკითხულთა 54.5% კმაყოფილია კონტეინერების დაცლის გრაფიკით, ხოლო 32.5% - ნაკლებად არის კმაყოფილი ამ საქმიანობით. არ არის კმაყოფილი - 12.2%.




საინტერესოა, თუ რა ხერხით იცილებენ რესპონდენტები წარმოქმნილ ნარჩენებს:

- 82.1% - ათავსებს ნარჩენებს ქუცებში დადგმულ კონტეინერებში;
 - 8.9% - ნარჩენები მიაქვს სპეციალურ ნაგავმზიდს, რომელიც დადის გრაფიკის მიხედვით;
 - 3.2% - ახარისხებს ნარჩენებს და ათავსებს ამისთვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში;
 - 1.7% - ორგანულ ნარჩენებისგან ამზადებს კომპოსტს;
 - 2.4% - იცილებს ისე, როგორც მოუხერხდება.
- ამასთან ერთად, საჭიროა აღინიშნოს, რომ 1.7% ნარჩენებს წვავს, რაც მიუღებელია.



რესპონდენტთა 84.6% მზადაა ნარჩენების დახარისხებული შეგროვებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ტყიბულში არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები პლასტიკის სეპარირებული შეგროვებისათვის, რომელსაც გამოიყენებს კიდევ გამოკითხულთა 30%-ზე მეტი.




ნარჩენების დახარისხების მეთოდებიდან ყველაზე მისაღებია სახლის პირობებში დახარისხება და განთავსება დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში (52%). დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში

ჩაბარებასა და შესაბამისი ანაზღაურების მიღებას უპირატესობას ანიჭებს 20.3%. ორგანული ნარჩენებისგან სახლში კომპოსტის მომზადებას, ხოლო დანარჩენი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსებას ირჩევს 8.9%. შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსებას მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში ირჩევს 11.4%.




ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირებას არ გამოიყენებს გამოკითხულთა 70.7%. 19.5% აღნიშნავს, რომ გამოიყენებდა კომპოსტირების მეთოდს, თუ ექნებოდა შესაბამისი ინფორმაცია მის შესახებ.




ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 68.9% აღნიშნავს, რომ ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ, ხოლო 24.3%- არ ფლობს ამ ინფორმაციას.




რესპონდენტთა მხოლოდ 37.9%-ს მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი უბანი არის სუფთა, ხოლო ნაკლებად დაბინძურებული - 35%-ს. 20.4 თვლის, რომ მათი უბანი არის დაბინძურებული, როცა მხოლოდ 3.8%-ს მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი უბანი არის ძალიან სუფთა, ხოლო 2.9% საერთოდ არ აინტერესებს ეს საკითხი.




შეკითხვაზე, თუ რამდენად აწუხებთ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა, რესპონდენტთა პასუხები განაწილდა შემდეგნაირად:


- ძალიან აწუხებს - 26.2%,
- აწუხებს - 37.9%,
- ნაკლებად აწუხებს - 22.3%,
- არ აწუხებს - 12.6%,
- არ აინტერესებს - 1.0%.




გამოკითხულთა 71.8%-ს მიაჩნია, რომ კონტეინერების რაოდენობა მათ საცხოვრებელ უბანში/ქუჩაზე არის საკმარისი, როცა მხოლოდ 24.3% თვლის, რომ მათი რაოდენობა არ არის საკმარისი.




რესპონდენტთა 93.2% აღნიშნავს, რომ კონტეინერების დაცლა რეგულარულად ხდება. 2% კი თვლის, რომ კონტეინერების დაცლა არ ხორციელდება რეგულარულად.



საცხოვრებელი უბნიდან ან ქუჩიდან ნარჩენების გატანის გრაფიკით კმაყოფილია გამოკითხულთა 86.4%, ნაკლებად კმაყოფილია - 8.7%, ეს საკითხი არ აინტერესებს - 2.9%.




საინტერესოა, რომ წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან გამოკითხულთა 30.1% მიუთითებს, რომ ხელმეორედ იყენებს პლასტიკის ბოთლებსა და პარკებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ პარკების ხელმეორედ გამოყენება კარგი პრაქტიკაა, პლასტიკის ბოთლების ხელმეორედ გამოყენება არ არის სასურველი ცნობილი მიზეზების გამო. გამოკითხულთა 26.2% ხელმეორედ იყენებს მინის ბოთლებსა და ქილებს, 25.2% - კი კვების პროდუქტების ნარჩენებს, ხოლო 25.2% - ლითონის სხვადასხვა ნარჩენებს. მცირე რაოდენობით ასევე ხელმეორედ გამოიყენება ტექსტილი (6.8%), მაკულატურა (3.9%), მოძველებული საყოფაცხოვრებო ტექნიკა (2.9%) და სხვა (2%).



გამოკითხულთა 97.1% ნარჩენების თავიდან მოცილების მიზნით იყენებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კონტეინერებს, ხოლო უმნიშვნელო ნაწილი (2%) აღნიშნავს, რომ ნარჩენები გააქვს სპეციალურ ნაგავში, რომელიც გრაფიკის მიხედვით გადაადგილდება (ზარის სისტემა). რესპონდენტთა 0.9% კი ახორციელებს ნარჩენების დახარისხებას, შესაბამის კონტეინერში განთავსებით.




რესპონდენტთა 80% მზადყოფნას გამოთქვამს განახორციელოს ნარჩენების დახარისხებული შეგროვება, მხოლოდ 13.6% არ იცის, როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში.



აღსანიშნავია, რომ ნარჩენების დახარისხებული მეთოდებიდან, რესპონდენტთა უმრავლესობა (69.9%) პრიორიტეტს ანიჭებს სახლში დახარისხებას და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსებას. 12.7%-თვის უკეთესია დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება. თუმცა 7.8% ურჩევნია შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება, შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში.


დახარისხებული ნარჩენების შეგროვების რომელი ხერხი უფრო მისაღებია თქვენთვის?



- სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსება
- დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება
- ორგანული ნარჩენებისგან სახლში კომპოსტის მომზადება, ხოლო დანარჩენი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება
- შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში
- არ ვიცი

რესპონდენტთა 75.5% არა გააჩნია ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება, მხოლოდ 8.7% იყენებს კომპოსტირებას საკუთარ მეურნეობაში. 13.6%-ს აქვს კომპოსტირების გამოყენების სურვილი.


თუ გაქვთ ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება?




- რამდენიმე წელია ვახორციელებ კომპოსტირებას და მიღებულ პროდუქტს ვიყენებ საკუთარ მეურნეობაში
- არა
- გამოვიყენებდი ამ მიდგომას, მაგრამარ მაქვს ინფორმაცია, როგორგავაკეთო ეს
- საერთოდ არ მაინტერესებს

საჩხერეს მუნიციპალიტეტი


საჩხერეს მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ რესპონდენტთა 70.4% ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. 25.9% -არ ფლობს ამ ინფორმაციას, მხოლოდ 3.7% - არ აინტერესებს.




გამოკითხულთა 39.8% აღნიშნავს, რომ მათი საცხოვრებელი უბანი ან ქუჩა არის სუფთა, ხოლო 13% - ძალიან სუფთა. 45.4%-ს მიაჩნია, რომ მათუ უბანი ნაკლებად დაბინძურებულია, მხოლოდ 1.8% მიუთითებს, რომ დაბინძურებულია.




მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემის მიმართ, რესპონდენტთა 14.8%-ს ეს პრობლემა ძალიან აწუხებს, 34.3%- აწუხებს, ნაკლებად აწუხებს 22.2%. მხოლოდ 27.8%-ს არ აწუხებს ეს საკითხი.




რესპონდენტთა 74.1% აღნიშნავს, რომ კონტეინერების რაოდენობა მათ საცხოვრებელ უბანში ან ქუჩაზე არის საკმარისი, თუმცა 22.2% მიუთითებს, რომ კონტეინერების რაოდენობა არ არის საკმარისი. ამასთან ერთად, 3.7% აღნიშნავს, რომ კონტეინერები საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად საერთოდ არ არის.




რესპონდენტთა 92.5% აღნიშნავს, რომ კონტეინერების დაცლა ხდება რეგულარულად, მხოლოდ 4.8% მიუთითებს, რომ კონტეინერების დაცლა არ ხორციელდება რეგულარულად.



საცხოვრებელი უბნიდან/ქუჩიდან ნარჩენების გატანის გრაფილით კმაყოფილია გამოკითხულთა 85.2%, ნაკლებად კმაყოფილია - 14.8%.




საჭიროა აღინიშნოს, რომ წარმოქმნილი ნარჩენებისგან რესპონდენტთა 73.1% ხელმეორედ გამოიყენებს მინის ბოთლებსა და ქილებს, 13.9% - ლითონის ნივთებს, 5.6% - კვების პროდუქტების ნარჩენებს, 2.8% - მოძველებულ ტექნიკას.




წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების თავიდან მოცილების მეთოდებიდან, საჭიროა აღინიშნოს, პირველ რიგში, შერეული ნარჩენების განთავსება ქუჩებში დადგმულ კონტეინერებში (80.6%), ხოლო 17.6% შემთხვევაში მიაქვს სპეციალურ ნაგავშიდს, რომელიც გრაფიკის მიხედვით დადის. 1.8% წარმოქმნილ ნარჩენებს იცილებს ისე, როგორც მოუხერხდება.




რესპონდენტთა 54.6% სურვილს გამოთქვამს დაიწყოს ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, თუ ამის საშუალება ექნებათ. 28.7%-მა არ იცის რას იზამს, ხოლო 13.9% არ აპირებს სეპარირების განხორციელებას. მხოლოდ 2.8%-ს არ აინტერესებს ეს საკითხი.



დახარისხებული ნარჩენების შეგროვების მეთოდებიდან, რესპონდენტთა 65.7%-თვის ყველაზე მისაღებია ნარჩენების სახლში დახარისხება და განთავსება დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში. შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება, შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში მისაღებია რესპონდენტთა 13%-სათვის. არ იცის რას ამჯობინეს - 12%.




რესპონდენტთა 70.4% არა აქვს ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება, მხოლოდ 16.7% -იყენებს კომპოსტირებას საკუთარ მეურნეობაში, ხოლო 8.3% - გამოიყენებდა კომპოსტირებას, თუ ექნებოდა შესაბამისი ინფორმაცია.




ჭიათურის მუნიციპალიტეტი


ჭიათურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული გამოკითხვის შედეგად, გამოკითხულთა 84.4%-მა აღნიშნა, რომ ფლობს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. 14.1% არ ფლობს ამ ინფორმაციას და მხოლოდ 1.5% არ აინტერესებს ეს საკითხი.




რესპონდენტთა 43.8% მიუთითებს, რომ მათი საცხოვრებელი უბანი/ქუჩა არის დაბინძურებული, ხოლო 43% თვლის რომ ნაკლებად დაბინძურებულია. მხოლოდ, გამოკითხულთა 11.7%-ს მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი უბანი სუფთაა.




გამოკითხულთა 25% ძალიან აწუხებს და 47.7% აწუხებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა, ხოლო 18.8% -ნაკლებად აწუხებს, მხოლოდ 5.4% ეს საკითხი არ აწუხებს და 3.1% -არ აინტერესებს.




გამოკითხულთა 46.1% აღნიშნავს, რომ კონტეინერების რაოდენობა მათ საცხოვრებელ უბანში/ქუჩაზე არ არის საკმარისი. 43% კი თვლის, რომ კონტეინერების რაოდენობა საკმარისია. 9.4% აღნიშნავს, რომ მათ საცხოვრებელ უბანში საერთოდ არ არის კონტეინერები.



რესპონდენტთა 46.9% აღნიშნავს, რომ კონტეინერების დაცლა ხდება რეგულარულად, ხოლო 25.8% მიუთითებს, რომ კონტეინერები იცლება არაგერულარულად, ხოლო 24.5% აღნიშნავს, რომ კონტეინერების დაცლა დიდი დაგვიანებით ხდება.




საცხოვრებელი უბნებიდან და ქუჩებიდან ნარჩენების გატანის გრაფიკით კმაყოფილია გამოკითხულთა 25.8%, ხოლო 37.5% - ნაკლებად კმაყოფილია. 32% საერთოდ არ არის კმაყოფილი ნარჩენების განათის გრაფიკით.




რესპონდენტთა 83.6% აღნიშნავს, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ათავსებს ქუჩებში განთავსებულ კონტეინერებში, მათი თავიდან მოცილების მიზნით. გამოკითხულთა 5.8% -ს ნარჩენები მოაქვს სპეციალურ ნაგავში, რომელიც გრაფიკით დადის. მოსახლეობა ჯერ კიდევ გამოიყენებს ნარჩენების მოცილების ისეთ ხერხებს, როგორცაა ნარჩენების დაწვა (1.5%) და მდინარეებში ჩაყრა (0.7%), რაც ყოველად დაუშვებელია. გამოკითხულთა 7% კი მიუთითებს, რომ ნარჩენებს იცილებს ისე, როგორ მოუხერხდება.



საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან რესპონდენტთა 30.5% ხელმეორედ იყენებს პლასტიკის ბოთლებსა და პარკებს. გამოკითხულთა 26.6% ხელმეორედ გამოიყენებს მინის ბოთლებსა და ქილებს, 16.4% - კვების პროდუქტების ნარჩენებს, 12.5%- ძველ ტანსაცმელსა და ქსოვილებს, 7% - მაკულატურას.




რესპონდენტთა 79.7% აღნიშნავს, რომ დაიწყებს ნარჩენების დახარისხებულ შეგროვებას, თუ ამის ტექნიკური პირობები იქნება შექმნილი მუნიციპალიტეტში. 14.8% არ იცის, რა იზამს.



ნარჩენების დახარისხებული შეგროვების მეთოდებიდან, რესპონდენტთა 50.8% უპირატესობას ანიჭებს სახლის პირობებში დახარისხებას და განთავსებას დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში. 15.6% ურჩევნია დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება. რესპონდენტთა 14.8% მომხრეა ორგანული ნარჩენებისგან მოამზადოს კომპოსტი, ხოლო დანარჩენი ნარჩენები განათავსოს კონტეინერში შერეული ნარჩენებისათვის. 8.6% ემხრობა ნარჩენების შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსებას იმისთვის, რომ შემდგომ მოხდეს მათი დახარისხება დამახარისხებელ ცენტრებში.


დახარისხებული ნარჩენების შეგროვების რომელი ხერხი უფრო მისაღებია თქვენთვის?



- სახლში დახარისხება და დახარისხებული ნარჩენებისთვის სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერში განთავსება
- დახარისხებული ნარჩენების მიმღებ პუნქტში ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების მიღება
- ორგანული ნარჩენებისგან სახლში კომპოსტის მომზადება, ხოლო დანარჩენი ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება
- შერეული (დაუხარისხებელი) ნარჩენების საერთო კონტეინერში მოთავსება მისი შემდგომი დახარისხებით დამახარისხებელ ცენტრებში
- არ ვიცი

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება აქვს რესპონდენტთა მხოლოდ 7.8%, ხოლო 53.9%-ს არა აქვს ეს გამოცდილება. გამოკითხულთა 30.5% გამოთქვა სურვილი გამოიყენოს კომპოსტირება, თუ ექნება შესაბამისი ინფორმაცია.

თუ გაქვთ ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების გამოცდილება?



- რამდენიმე წელია ვახორციელებ კომპოსტირებას და მიღებულ პროდუქტს ვიყენებ საკუთარ მეურნეობაში
- არა
- გამოვიყენებდი ამ მიდგომას, მაგრამ არ მაქვს ინფორმაცია, როგორ გავაკეთო ეს
- საერთოდ არ მაინტერესებს

ტერმინების განმარტება

ნარჩენები - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები - საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები.

მუნიციპალური ნარჩენები - საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავისი მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენები - ნებისმიერი სახის ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარებიან ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები, ბაღების/პარკების ნარჩენები, ქაღალდი და მუყაო.

სახიფათო ნარჩენები - ნარჩენები, რომლებიც სახიფათო ან პოტენციურად მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან გარემოსათვის (სახიფათო ნარჩენების სია მოცემულია საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მესამე დანართში).

ცხოველური ნარჩენები – ცხოველებთან დაკავშირებული ნარჩენები (ცხოველების სხეულები, ცხოველების სხეულის ნაწილები, ნაკელი, ხორცის წარმოების ნარჩენები, ცხოველებზე ცდების ჩატარების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები და სხვ.).

პრევენცია – ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე მიღებული ზომები, რაც ამცირებს: ა) ნარჩენების რაოდენობას, (მაგალითად, პროდუქტის ხელახალი გამოყენების გზით ან პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გაგრძელების გზით); ბ) წარმოქმნილი ნარჩენების უარყოფით გავლენას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე; გ) მასალებსა და პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას.

ხელახალი გამოყენება - პროდუქტის ან/და მისი კომპონენტების ხელახლა გამოყენება ნარჩენად გადაქცევამდე, მათი თავდაპირველი დანიშნულებით.

აღდგენა - საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების გამოყენება სასარგებლო მიზნებისათვის, იმ მასალების ჩანაცვლების გზით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული. აღდგენა მოიცავს ენერჯის აღდგენას და რეციკლირებას. (აღდგენის ოპერაციების სია მოცემულია საქართველოს კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” პირველ დანართში).

რეციკლირება - აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენები გარდაიქმნება პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად, რომლებიც განკუთვნილია თავდაპირველი ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენას და ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც გამოიყენება საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის.

რეციკლირებადი მასალები - გავრცელებული რეციკლირებადი მასალებია მინა, ქაღალდი, მუყაო, მეტალი, პლასტიკი, ქსოვილი, საკვების ნარჩენები, ბადის ნარჩენები და ელექტრონული მოწყობილობები.

ნარჩენების შეგროვება - ნარჩენების შეგროვება, რაც ასევე მოიცავს მათ წინასწარ დახარისხებას და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების ობიექტზე გადატანის მიზნით.

სეპარირებული შეგროვება (იგივე, განცალკევებული შეგროვება) - ნარჩენების შეგროვება, რომლის ღრმსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობების და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

ნარჩენების ტრანსპორტირება - ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ობიექტზე;

დანაგვიანება - ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება და/ან მიტოვება, გარდა ამ მიზნისთვის გამოყოფილი კონტეინერებისა და შეგროვების ობიექტებისა.

დაინტერესებული მხარე - პირი, ჯგუფი, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი გააჩნია ქმედებასთან ან პროექტთან ან რომელსაც გააჩნია შესაძლებლობა დადებითი ან ნეგატიური გავლენა მოახდინოს ქმედებაზე ან პროექტზე.